ბრძანება:**ბ16. 3723108001**

თარიღი:**18/04/2023**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის მიზნით შიდა კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლის და ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნისა და კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 აპრილის Nბ37. 3723097001 ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული - საკრებულოს აპარატის მე-3 რანგის, მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საორგანიზაციო მომსახურების საკითხებში) ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის მიზნით შიდა კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ნინო აბაშიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) - კომისიის წევრი;

ბ) ნათელა ლომჯარია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;

გ) კახაბერ ლომაძე - სტუდენტურ ახალგაზრდული სათათბიროს პროგრამების კორდინატორი - კომისიის წევრი;

დ) ანა მუკბანიანი - მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში - კომისიის წევრი.

2. კონკურსის ჩატარების წესი და პირობები, აგრეთვე საკონკურსო კომისიის საქმიანობის დეტალური წესი განისაზღვრება „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნანა თავდუმაძე

საკონკურსო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი